



მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სამთო საქმისა და გეოლოგიის განვითარება ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა“

ა.წ. 24 სექტემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს მინერალოგიური საზოგადოებისა და გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ორგანიზებით გაიხსნა მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სამთო საქმისა და გეოლოგიის განვითარება ეკონომიკის აღორძინების წინაპირობა“. ქვეყანაში არსებული ვითარების გამო სხდომები მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში Zoom-ის პროგრამით.


ტრადიციულად, კონფერენციის გენერალური სპონსორი და მხარდამჭერია „რიჩ მეტალს გრუპი“ (RICH METALS GROUP). მსგავსი ორგანიზაციის მხარდაჭერა კონფერენციისთვის მეტად მნიშვნელოვანია.



კონფერენცია გახსნა და მომხსენებლებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა დავით გურგენიძემ, საქართველოს მინერალოგიური საზოგადოების პრეზიდენტმა, ნოდარ ფოფორაძემ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, რამაზ ხუროძემ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, ზურაბ გასიტაშვილმა, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსმა, მერაბ გაფრინდაშვილმა, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, მერაბ ჩალათაშვილმა, „რიჩ მეტალს გრუპის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, თორნიკე ლიპარტიამ, სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის დირექტორმა, ნიკოლოზ ჩიხრაძემ, თსუ-ს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსმა, ბეჟან თუთბერიძემ.



კონფერენციაზე ონლაინ რეჟიმში გაკეთდა 19 მოხსენება. წარმოდგენილი 16 სასტენდო მოხსენება კი განთავსდება საზოგადოების ვებგვერდსა და ფეისბუქგვერდებზე.



კონფერენციის სხდომებზე, სამეცნიერო მოხსენებებთან ერთად, მონაწილეებმა მოისმინეს მსჯელობა გეოლოგიასა და სამთო საქმეში არსებული პრობლემებისა და პერსპექტივების შესახებ, რაც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი რესურსების თანმიმდევრულ შესწავლას, რაციონალურ გამოყენებას და მართებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების

გატარებას. კონფერენციაზე მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები.

დასახული გეგმის მიხედვით, გაისად, 2021 წლის მე-7 კონფერენცია მიემდგნება გეოლოგიისა და სამთო საქმის პრობლემებს, განათლების სისტემის განვითარების საკითხებს (პროგრამების მოდიფიცირება კერძო სექტორის ჩართვით), კანონმდებლობის განახლებას, ლითონური, არალითონური და წყლის რესურსების, გარემოსდაცვით საკითხებს. ამ საკითხების მოგვარება შეუძლებელია სახელმწიფო სტრუქტურების, უნივერსიტეტების, კვლევითი ინსტიტუტების, კერძო კომპანიების, არასამთავრობო საზოგადოებების ერთობლივი და მჭიდრო ურთიერთობისა და თანამედროვე ხელსაწყო-მოწყობილობების გარეშე.

მისასალმებელი და მნიშვნელოვანია, რომ ყოველწლიურად კონფერენციის მომზადებასა და მსვლელობაში სულ უფრო მეტი ახალგაზრდა გეოლოგი და სამთოელი იღებს მონაწილეობას ეს ეხება როგორც საორგანიზაციო ჯგუფს (კომიტეტს), ასევე სამეცნიერო დებატებს. ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა საკმაოდ ძლიერი სამეცნიერო და საორგანიზაციო საბჭოები, რომლებსაც არა მარტო მაღალი დონის კონფერენციებისა და სესიების ორგანიზება-ჩატარება ძალუძთ, არამედ გეოლოგიასა და სამთო საქმეში არსებული მრავალი პრობლემისა და საკითხის გადაწყვეტა შეუძლიათ.

კონფერენციის მხარდამჭერები არიან სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.